კავშირის სახელით

ია ბაგრატიონ - მუხრანელი

დამტკიცებულია სკოლა - ლიცეუმის უმაღლესი ორგანოს

ნიკო ბაგრატიონის (ბურის) კავშირის საზოგადოებრივი

საბჭოს მიერ

ოქმი N1

2023 წლის 1 სექტემბერი

# ნიკო - ბაგრატიონის სახელობის სკოლა - ლიცეუმის

# 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა

**სკოლა-ლიცეუმის მისია** - აღზარდოს განათლებული, მოაზროვნე, ფიზიკურად ჯანმრთელი, რაინდული სულისკვეთების მატარებელი თაობა, რომელიც გააგრძელებს ქრისტიანულ ეროვნულ ტრადიციებს, ჰარმონიულად განავითარებს თანამედროვე ევროპულ ჰუმანისტურ კონცეფციებს და გაამართლებს ქართული საზოგადოების მოლოდინებს საგანმანათლებლო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

**ხედვა.** 2033 წლისთვის სკოლა-ლიცეუმი ჩამოყალიბდება განსაკუთრებული პროფილის კონსერვატორულ - ტრადიციონალისტურ იდეებზე დაფუძნებულ სასწავლებლად, რომლის აღზრდილს ექნება ფართო თვალსაწიერი, განათლება და კოგნიტური უნარები, ევროპული და სხვა მოწინავე ცივილიზაციების საუკეთესო მიღწევები აღქმის და ქართული ტრადიციული ღირებულებისათვის მისაღების ცოდნისა და გამოცდილებების შეთვისებისთვის.

**ღირებულებები.** ტრადიციონალიზმი, ჰუმანისტურ კონცეფციებზე დაფუძნებული მაღალი განათლება და კონსტრუქტივისტული უნარები, გლობალური სამყაროსადმი ღიაობა, გლობალიზაციისა და კოსმოპოლიტიზმის გამოწვევებთან გამკლავება.

| მიზანი | ამოცანა | ქვეამოცანა | განხორციელების პერიოდი | განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა / პირი |
|---|---|---|---|---|
| I. სკოლა - ლიცეუმის მატერიალურ ტექნიკური და ფინანსური ბაზის განვითარება | სკოლა - ლიცეუმის ფინანსური ბაზის გაძლიერება | • საგანმანათლებლო ბაზარზე სასკოლო სერვისების შესახებ ინფორმაციული მეთოდების მექანიზმის შექმნა / გაძლიერება. | სტრატეგიული გეგმის მოქმედების ფარგლებში | დირექცია |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | (დაფინანსების დამატებითი წყაროების მოზიდვა; საქველმოქმედო ფონდები და მეცენატები; სხვადასხვა გრანტების მისაღებად გამოცხადებული კონკურსები; მოსწავლეთა მშობლები, რომელთაც აქვთ წარმატებული სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა და მზად არიან, თავიანთი შვილების კეთილდღეობის თვის გაიღონ გარკვეული დახმარება; ბიზნესმენები, სხვადასხვა ორგანიზაციები, რომლებიც საკუთარი საქმიანობის რეკლამირების | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მიზნით მზად არიან, დააფინანსონ სკოლის ესა თუ ის პროგრამა; ღონისძიების, ორგანიზებული აქციების მოწყობის შედეგად შემოსული თანხები). | | |
| | სკოლა - ლიცეუმის საკუთარ სასწავლო ბაზაზე დაფუძნება | • ზრუნვა საკუთარ სასწავლო ბაზის შესაქმნელად.<br>• მისი აღჭურვა თანამედროვე სასწავლო / საგანმანათლებლო მოთხოვნების შესაბამისი კომპიუტერული და საგნობრივი | „ხედვის“ მოქმედების ფარგლებში | დირექცია |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სასწავლო ლაბორატორიებით. | | |
| II. 1. სკოლა - ლიცეუმის კონცეპტუალური პრინციპების ხორცშესხმა | 1. კონსერვატორულ - ტრადიციულ იდეებზე დაფუძნებული პროფილის მქონე სასწავლებლის ჩამოყალიბება. | 1. სკოლა - ლიცეუმის დამფუძნებელ დოკუმენტთა შორის უმნიშვნელოვანესის, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მიერ განწესებული კურთხევის განხორციელება:<br>❖ კურთხევით დაგეგმილი აქტივობების განხორციელება სკოლა - ლიცეუმის, საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის, ოჯახების ბაზაზე (შეირჩევა ოჯახები ამ კუთხით გაწეული ინფორმაციული მუშაობის და ნებაყოფლობის | სტრატეგიული გეგმის მოქმედების ფარგლებში | სკოლა-ლიცეუმის დირექცია, კათედრები, კლასის დამრიგებლები, სკოლა - ლიცეუმის მოძღვარი. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | პრინციპის დაცვით, განხორციელდება ოჯახი - სალონის მოდელი).<br>• საქართველოსა და ქართული ეკლესიის გაცნობა.<br>• დიდ ეროვნულ მოღვაწეთ ადა წმინდანთა ცხოვრება - მოღვაწეობის გაცნობა.<br>• საუბრები ქართულ ტრადიციებზე (ღირებულებები, წეს - ჩვეულებები, ეთნოგრაფიული ტრადიციები).<br>• საუბრები ქრისტიანული ოჯახის ღირებულებებზე და პრინციპებზე. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | <ul><li>ლიტერატურული და მუსიკალური საღამოები.</li></ul> ❖ ქართული არქიტექტურული ძეგლების გაცნობა, წმინდა ადგილების მოლოცვა / მონახულება.<br>❖ სასკოლო კონფერენციები მეცნიერების და რწმენის საკითხებზე.<br>❖ შეხვედრების ორგანიზება საზოგადოების გამოჩენილ წარმომადგენლებთან, მათ შორის სასულიერო პირებთან.<br>❖ გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეთა ქადაგებების გაცნობა (მათ შორის ინტერნეტ სივრცეში დადებული | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მასალების გამოყენება) მსჯელობა / დისკუსია. | | |
| | 2. ფართო თვალსაწიერი, განათლებული, მაღალი კოგნიტური უნარების, ჰუმანისტური კონცეფციების საფუძველზე აღზრდილი თაობა, რომელსაც შეეძლება მოწინავე ცივილიზაციის მიღწევების აღქმა და ქართული ტრადიციული ღირებულებებისათვის მისაღები ცოდნისა და გამოცდილების შეთვისება. | ❖ სკოლა - ლიცეუმში განათლების ხარისხის სტაბილური განვითარება.<br>• საბაზო დოკუმენტალური ბაზის და მენეჯმენტის სრულყოფა.<br>• მარეგულირებელი დოკუმენტის (ხარისხის მართვის პოლიტიკა და ვერიფიკაციის სისტემა) დახვეწა სრულყოფის პროცესის გაგრძელება და მისი ზედმიწევნითი განხორციელება.<br>• მოსწავლეთათვის რემედიაციული აქტივობების გაფართოება / | სტრატეგიული გეგმის განხორციელების დროით | სკოლა - ლიცეუმის დირექცია,<br><br>„სკოლა - ლიცეუმის სტრატეგიული სასკოლო სასწავლო და სამოქმედო გეგმის განხორციელების, შეფასებისა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის ჯგუფი“,<br><br>კათედრები, კლასის დამრიგებლები. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გამრავალფეროვნება.<br>• საშუალო საფეხურზე დიფერენცირებული სწავლების საბოლოო დამკიდრება (მთლიანი საფეხურის მოცულობით).<br>• კათედრების მუშაობის გაძლიერება, მათზე სასწავლო აღმზრდელობითი პროცესების წარმართვა/ რეგულირების დიდი ნაწილის დელეგირება. პერსპექტივაში, სკოლა - ლიცეუმის ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ანაზღაურებადი კათედრის თავმჯდომარის სტატუსის | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | შემოღება, რაც დაგვირგვინდება კათედრების თავმჯდომარეთა კოლეგიალური სტრუქტურების შემქმნით, რომელზეც საბოლოო ჯამში მთლიანად გადავა პროცესების მაღალ მეცნიერულ / მეთოდურ საფუძველზე გამართვა.<br>• არაფორმალური განათლების გაძლიერება, განსაკუთებით საკლუბო პროექტების სახით.<br>• საერთო აკადემიური მაჩვენებლების გაზრდა, რომლის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი იქნება ზოგად | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებზე წარმატებების მიღწევა. ასეთი აქტივობების წარმატებისთვის მხარდამჭერი მექანიზმის შექმნა.<br>• მოსწავლეთა კარიერული დაგეგმარების და პროფესიული ორიენტაციის ხელშემწყობი მექანიზმების შექმნა.<br>• წიგნიერების ზოგადი დონის ამაღლებაზე მუდმივი ყურადღება და მხარდამჭერი აქტივობების შემუშავება. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| III. პედაგოგიური კოლექტივის | ❖ სკოლა - ლიცეუმი | ❖ პედაგოგებს შეექმნებათ მაქსიმალურად | სტრატეგიული გეგმის | სკოლა - ლიცეუმის |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პროფესიული განვითარება | გახდება პედადგოგთა პროფესიული ზრდის უპირველეს ბაზად, ამისთვის: | ❖<br>❖ | ხელსაყრელი პირობები პროფესიული ზრდისთვის დიდი ყურადღება დაეთმობა მათ სრულ ინტეგრაციას სასკოლო საზოგადოებაში, სადაც იგი იქნება სრულფასოვანი, დაფასებული და აღიარებული წევრი, თავისი პედაგოგიური „ხელწერის /ბრენდის“ დამამკვიდრებელი.<br>სკოლა - ლიცეუმის ბაზაზე მოეწყობა პერმამენტული ტრენინგები (მოწვეული ან ადგილობრივი გამოცდილი კადრების მიერ). აზრთა ურთიერთგაზიარება („კრიტიკული მეგობრის“ ფორმატში), ღია და კომბინირებული გაკვეთილები, საგნობრივ მეთოდური კონფერენციები, რესპუბლიკურ და საერთაშორისო | მოქმედების დროით | დირექცია, კათედრები |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ფორუმებში მონაწილეობა<br>❖ სკოლა - ლიცეუმი იზრუნებს მაღალკვალიფიციური კადრების მოსაზიდად.<br>❖ სკოლა - ლიცეუმის ფინანსური ბაზის გამტკიცების კვალდაკვალ, სკოლა - ლიცეუმი იზრუნებს პედაგოგთა ანაზღაურების გაზრდის და გამორჩეულად წარმატებულ პედაგოგთა წამახალისებელი ღონისძიებების შემდგომი განვითარებისთვის (მათ შორის მატერიალისტური სტიმულირება). | | |
| IV. მოსწავლეთა მხარდაჭერა. მშობელთა ჩართულობის გაზრდა | 1. სკოლა - ლიცეუმი გააგრძელებს მოსწავლეთა მხარდაჭერის პოლიტიკას, რომლის საბოლოო | ❖ გამლიერდება დიაგნოსტიკურ - კვლევითი საქმიანობა ყველა მოსწავლის ჰოლისტური მახასიათებლების ზუსტი დადგენისთვის. | სტრატეგიული გეგმის მოქმედების დროით | სკოლა - ლიცეუმის დირექცია, კათედრები, კლასის დამრიგებლები. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მიზანია პროექტის „სკოლა - ლიცეუმის ყველა მოსწავლე წარმატებულია“ განხორციელება.<br><br>2. მშობელთა ჩართულობის გაძლიერება. | ❖ მონაცემთა საფუძველზე დიფერენცირება / რემედიაციის ღონისძიებების დახვეწა.<br>❖ მოსწავლეთა მიერ მათი მომავალი პროფესიის სწორად არჩევაში ხელშემწყობი მექანიზმების დახვეწა.<br>❖ და ყველაზე მთავარი - სკოლა - ლიცეუმის აღზრდილები სრულად უნდა აკმაყოფილებდნენ სკოლა - ლიცეუმის მისიით, ხედვით და ღირებულებებით გამოცხადებულ პრინციპებს.<br>❖ სკოლა - ლიცეუმის ერთ - ერთი მთავარი ამოცანაა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის, მათ შორის მშობელთა / მეურვეთა ინტეგრაცია და „სკოლა - ლიცეუმი - ჩემი სკოლა“ განცდის დამკვიდრება.<br>• მშობელთა მეურვეთა ჩაბმა სკოლა - ლიცეუმის არჩევის სტრუქტურებში (დისციპლინურ და | სტრატეგიული გეგმის მოქმედების დროით | სკოლა - ლიცეუმის დირექცია, კათედრები, კლასის დამრიგებლები. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სააპელაციო კომიტეტები), „სკოლა ლიცეუმის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ, სასკოლო - სასწავლო გეგმის დაგეგმარების მეთოდოლოგია“.<br>• სკოლა - ლიცეუმი გეგმავს ყველა ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტის მომზადებაში და მათ შეახებ ინფორმირებაში მშობელთა ფართოდ ჩართულობას სხვა და სხვა ფორმატით (სამუშაო ჯგუფები, ფოკუს ჯგუფები, კონსულტაციები, დისკუსიები, გამოკითხვები).<br>• სკოლა - ლიცეუმში განხორციელებული საქმიანობის შესახებ მათი სრული | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ინფორმირებულობა (ელ. საშუალებები, „მშობელი სკოლაში“, „ღია კარის დღეები“).<br>• არაფორმალურ განათლებაში მათი ინტელექტუალური რესურსების გამოცდილების და უნარების ფართო გამოყენება. | | |